



## სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

საჯარო სამსახურის ეროვნული ბიურო იწყებს სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის მე-12 ნაკადს. სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია სტუ-ის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება GPA-ით (მინიმუმ 3.0) ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (მინიმუმ "B" (81-90%) ძალიან კარგი). აგრეთვე, მონაწილეობა შეუძლიათ იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც დაასრულეს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი აკადემიური მოსწრებით (არაუმეტეს 2 წლისა).

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველ სტუდენტებს, გთხოვთ, თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ნიშნების ფურცელი დამოწმებული ბეჭდით და ხელმოწერით.

მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 20 თებერვლიდან 20 მარტის ჩათვლით.

მის.: კოსტავას 77, სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი №266, სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი  
ტელ: 236 53 45

იხილეთ ბმული: <http://stajireba.gov.ge/News/1032>